საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ალექსანდრე კობაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	72	100

სახელი, გვარი: [signature], Irakli Ghlighvashvili

თარიღი : 26.04.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ალექსანდრე კობაიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის #1/4 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატი ალექსანდრე კობაიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით. ალექასანდრე კობაიძე, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის" 35[1] მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.
შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციისა და კანდიდატ ალექსანდრე კობაიძესთან წარმართულ საუბარი მოსმენას.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის ალექსანდრე კობაიძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, გამოვლინდა კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის და უკანონობის ნიშნები; რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში; მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის იკვეთება შეუსაბამობა; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის ასახული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 – 2024 წლებში ალექსანდრე კობაიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი (მათ შორის სამი გადაუხდელი ჯარიმა).

რეკომენდატორი და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად; გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, როგორც პიროვნულ, ისე პროფესიულ საქმიანობაში და ა.შ; გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს შეგნებული აქვს მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი არ იყო თავშეკავებული

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

რეკომენდატორი და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, სამართლიან, მიუკერძოებელ, ობიექტურ და გავლენებისაგან თავისუფალ პიროვნებას.

2014 წლის არჩევნებში ალექსანდრე კობაიძე იყო ქ. რუსთავის მერობის კანდიდატი (პოლიტიკური პარტია „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა").არის პოლიტიკური პარტიის „ხალხის პარტია" დამფუძნებელი და წევრი.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ძალიან ემოციური და ფიცხი ადამიანია. მას პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორი და გამოკითხული პირები; გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის პიროვნულ და პროფესიულ ქცევის მაღალ სტანდარტს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ალექსანდრე კობაიძის მიმართ

დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, თუმცა, მასთან წარმართული გასაუბრების შემდეგ არაერთმა მოქალაქემ გააკეთა ღია შეტყობინება მის არაკეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით; დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა; 21 სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეში მონაწილეობდა მხარედ.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა არ შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის რეკომენდატორისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, კანდიდატი ხასიათება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით; რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

პრესაში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია ალექსანდრე კობაიძის შესახებ, მათ შორის მის მიერ საარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებული განცხადებები, ასევე მის საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის ალექსანდრე კობაიძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **სამართლის ნორმების ცოდნა** <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზსა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას</u> - აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე კობაიძემ ვერ შეძლო წარმოეჩინა საკუთარი ცოდნა, ვერ გაართვა თავი საჯარო მოსმენის ეტაპზე დასმულ სამართლებრივი კითხვების უმეტესობას. მაგალითად, ვერ გასცა პასუხი ან/და თავი აარიდა შეკითხვებს, რომელიც შეეხებოდა აბსოლიტურ უფლებებს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, გადაწყვეტილების განმარტების მეთოდებს, სეკულარიზმის პრინციპს და სხვა.

მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტი დასაბუთებული, სამართლებრივად გამართულია.

კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ იგი მაკლებად ეცნობა ეროვნულ სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> - მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის არგუმენტირებული და დასაბუთებული კვალიფიციურად. გასაუბრების ეტაპზე ვერ შეძლო ძირითად საკითხზე კონცენტრირება. თუმცა, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტი თანმიმდევრულია, ჩანს მსჯელობა და განხილული მასალის საფუძველზე კანდიდატის ლოგიკური აზროვნების უნარი.

ამავდროულად, გასაუბრების პროცესში თითქმის ყველა სამართლებრივი საკითხის განხილვისას კანდიდატს გაუჭირდა საკუთარი მოსაზრების საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით განმტკიცება. ასევე, თითქმის ვერცერთ კონკრეტულ სამართლებრივ სფეროში დასმულ საკითხებზე, ვერ გასცა ზუსტი და არგუმენტირებული პასუხები.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> - <u>შედეგად, მივიჩნევ, რომ</u> - შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.

ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას არის საკმაოდ ემოციური; არ გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი; კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად არა თანმიმდევრულად.

<u>4. პროფესიული თვისებები</u> <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის შესახებ არსებულ ინფორმაციას პრესასა და მედია საშუალებებში, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> - აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე კობაიძეს ახასიათებენ როგორც დამოუკიდებელ, კომპეტენტურ და კვალიფიციურ იურისტს.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია. თუმცა მისი საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ არაერთმა მოქალაქემ გააკეთა ნეგატიური კომენტარი მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ ალექსანდრე კობაიძე არის შეუსაბამო მოსამართლის თანამდებობისათვის.

5. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.</u> - ალექსანდრე კობაიძეს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა. მონაწილეობა აქვს მიღებული რამოდენიმე სამუშაო შეხვედრასა და სემინარში. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენას.

არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერი) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი.

6. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** - <u>მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა.</u> - ალექსანდრე კობაიძე არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერი) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი. იგი პერიოდულად მონაწილეობს ტრეინინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 72 ქულას.

თარიღი : 26.04.2024 г.

ხელმოწერა: